ხელშეკრულება მომსახურების გაწევის შესახებ N17-50

ქ. თბილისი 27 ივნისი 2017 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, სსიპ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო (შემდგომში - დამკვეთი), წარმოდგენილი თავმჯდომარის გიორგი მიშელაძის სახით და მეორეს მხრივ, სსიპ „საჯარო აუდიტის ინსტიტუტი“ (შემდგომში - ინსტიტუტი), წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით აზმაიფარაშვილის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 36[1] მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება“ - ინსტიტუტსა და დამკვეთს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს დამკვეთმა ინსტიტუტის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ხარისხიანი შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია: სსიპ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს თანამშრომლის, თამარ ზენაიშვილისთვის (პ/ნ 01019070218) ტრენინგის (სახელმწიფო შესყიდვების შესახებ) ორგანიზების **(CPV კოდი - 80530000)** მომსახურების შესყიდვა.

მუხლი 3. მხარეთა უფლება - მოვალეობები

3.1. დამკვეთს უფლება აქვს ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურება მიიღოს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას.

3.2. დამკვეთი ვალდებულია გადაუხადოს ინსტიტუტს ხელშეკრულების საფასური ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

3.3. ინსტიტუტს უფლება აქვს გაწეული მომსახურების სანაცვლოდ მიიღოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების საფასური.

მუხლი 4. ხელშეკრულების ღირებულება და გადახდის პირობები

4.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 280 (ორას ოთხმოცი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

4.2. წინამდებარე ხელშეკრულების 4.1. პუნქტით განსაზღვრული თანხა: კერძოდ, სასწავლო კურსის საფასური ლარი გადაიხდება მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 დღის ვადაში.

4.3. შესაძლებელია წინასწარი ანგარიშწორებაც

4.4. ანგარიშსწორება წარმოებს უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ინსტიტუტის მიერ დამკვეთისათვის მიწოდებული ინვოისის საფუძველზე.

მუხლი 5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1.დამკვეთის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება ხელშეკრულების მოქმდების პერიოდში დამკვეთის მოთხოვნათა შესაბამისად.

5.2. კონტროლს განახორციელებს: სსიპ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს შესყიდვების მენეჯერი თამარ ზენაიშვილი

5.3 დამკვეთის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება რომ მომსახურება ნაკლიანია, ინსტიტუტი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღეში გამოასწოროს ნაკლი, ან თუ ამ მომსახურების გამოსწორება

შეუძლებელია და დამკვეთს უკვე გადახდილი აქვს მომსახურების ღირებულება, დაუბრუნოს დამკვეთს აღნიშნული მომსახურების ღირებულება.

მუხლი 6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

6.1 მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელისმოწერით.

6.2 მომსახურების მიღებას აწარმოებს: სსიპ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს შესყიდვების მენეჯერი თამარ ზენაიშვილი.

მუხლი 7. მომსახურების გაწევის ვადები და ადგილი

7.1 ტრენინგის მომსახურება ვადა განისაზღვრება 2017 წლის 3 ივლისიდან 2017 წლის 28 ივლისის ჩათვლით.

7.2 ინსტიტუტი ვალდებულია უზრუნველყოს მომსახურების გაწევა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი №96.

მუხლი 8. ფორს-მაჟორი

8.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა არ დგება დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ვალდებულებების სრული და ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში, რომლის დროსაც შეუძლებელია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

8.2. თუ დაუძლეველი ძალის მოქმედება გაგრძელდა 15 დღეზე მეტი დროით, მხარეებმა უნდა გადაწყვიტონ ხელშეკრულების გაგრძელების შესაძლებლობა. მხარეთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავას განიხილავს სასამართლო.

მუხლი 9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. მხარეები პასუხს აგებენ ერთმანეთის წინაშე მათ მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის.

9.2. თუ ერთ-ერთი მხარე არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას, მეორე მხარე წერილობითი ფორმით აფრთხილებს მას შეასრულოს ხელშეკრულების პირობები.

9.3. ხელშეკრულების ერთი მხარის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარეს, შესაბამისი გაფრთხილების გაგზავნის შემდეგ, უფლება აქვს ცალმხრივად ვადამდე შეწყვიტოს ხელშეკრულება.

მუხლი 10. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადები

ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. არანაირი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შეთანხმების გარდა.

11.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

მუხლი 12. დავების განხილვის წესი

მხარეები შეეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წამოჭრილი დავები, ხოლო შეთანმხების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა განიხილება სასამართლოს მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 13. დამატებითი პირობები

13.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულება გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს.

13.2. მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნება რეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ თანაბარ იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეული ეგზემპლარი ინახება ხელშეკრულების მხარეებთან.

მუხლი 14. *მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები,*

ინსტიტუტი:

სსიპ - საჯარო აუდიტის ინსტიტუტი

მისამართი: ქ. თბილისი,
წმ. ქეთევან დედოფლის გამზ N96;
საიდენტიფიკაციო კოდი:206350312
მიმღებისბანკი_ სახელმწიფოხაზინა;
მიმღებისდასახელება _ ხაზინისერთიანიანგარიში;
ბანკისკოდი _ TRESGE22;
მიმღებისანგარიში/სახაზინოკოდი _ 707727122

საჯარო აუდიტის ინსტიტუტის დირექტორი
დავით აზმაიფარაშვილი

დამკვეთი:

სსიპ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო
იურიდ. მის: თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი #6
ფაქტ. მის: თბილისი, ვაზისუბნის ქ. #25
ს/კ 205306293
სახელმწიფო ხაზინა
კოდი: TRESGE22
ა/ა: GE24NB0330100200165022

თავმჯდომარე
გიორგი მიშელაძე